

საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45



GEORGIA

SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY  
№45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ. ზუგდიდი

06.07.2018 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
განკარგულება №62

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლიშის საჯარო სკოლისათვის  
სახელის შეცვლის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

“საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 4<sup>1</sup> მუხლის „ბ“ პუნქტის, „ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტისათვის სახელწოდების გადარქმევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 თებერვლის №46 დადგენილების და სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლიშის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2018 წლის 21 ივნისის №2 სხდომის ოქმის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლიშის საჯარო სკოლას შეეცვალოს სახელი და ეწოდოს „სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ალერტკარის საჯარო სკოლა“.
2. განკარგულება გადაეგზავნოს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლიშის საჯარო სკოლას.
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქუჩა №12).

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი

  
ბესიკ ჭეუია

